საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/5

ქ.თბილისი

"24" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე–11[1], 36[2] და 36[3] მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2015 წლის 05 ნოემბრის N77/სა ბრძანების, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N6/31 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი კომისიის აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:
   ა) ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფის უფროსი - 1 პოზიცია;
   ბ) ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი - 1 პოზიცია;
   გ) სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის მომსახურების დანახარჯთა და ტარიფის დადგენის მთავარი სპეციალისტი - 1 პოზიცია;
   დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელური ინფრასტრუქტურის წამყვანი სპეციალისტი - 1 პოზიცია.
2. დაევალოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას:
   ა) განსაზღვროს ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ვაკანტური თანამდებობისათვის საკონკურსო პირობები კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის 6/28 ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაოთა აღწერილობების (ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩათვლით) შესაბამისად;
   ბ) უზრუნველყოს კონკურსის ჩატარების პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმისა და გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება;
   გ) უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე www.hr.gov.ge და სხვა შესაბამის ვებ-გვერდებზე.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.
5. კონტროლს ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე განვახორციელებ პირადად.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**